საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/38

ქ. ბათუმი 18 მარტი, 2019 წელი

2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის 2019 წლის იანვარში აკრედიტირებულ ბსუ-ს „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე და 2018 წლის ოქტომბერს აკრედიტირებულ ,,ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა ჩარიცხვისათვის რიგგარეშე შიდა მობილობის გამოცხადების შესახებ

ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ეკონომიკის“ (აკრედიტირებული 02.05.2013 N70 გადაწყვეტილებით), „ფინანსების, ფულის მიმოქცევისა და კრედიტის“ (აკრედიტირებულ 03.07.2012 N152 გადაწყვეტილებით) ,,ბიზნესის ადმინისტრირების“(აკრედიტირებული 03.07.2012 N155 გადაწყვეტილებით) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ვადა გავიდა 2018 წელს. „ფინანსების, ფულის მიმოქცევისა და კრედიტის“ და ,,ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო პროგრამების გაერთიანების საფუძველზე შემუშავებული „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტირებული იქნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 16 იანვრის N 9 გადაწყვეტილებით.

ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ეკონომიკის“, „ფინანსების, ფულის მიმოქცევისა და კრედიტის“ და ,,ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების სტატუსშეჩერებული სტატუსის მქონე ბსუ-ს სტუდენტების უფლებებისა და ინტერესების გათვალისწინებით, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 21 თებერვლის N06-01/20 დადგენილებით მიზანშეწონილად ჩაითვალა 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის გამოცხადდეს დამატებითი, რიგგარეშე შიდა მობილობა, რათა ამ სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა ისარგებლონ 2019 წლის 16 იანვრის აკრედიტირებულ „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით.

ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „მარკეტინგის“, „მენეჯმენტისა“ „ფინანსების“ და „საბუღალტრო და საგადასახადო საქმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ვადა გავიდა 2018 წლის 1 ივლისს. ამ პროგრამების გაერთიანების საფუძველზე შემუშავებული „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტირებული იქნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 31 ოქტომბრის N47 სხდომის ოქმის საფუძველზე (გადაწყვეტილება N 141).

ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „მარკეტინგის“, „მენეჯმენტისა“ „ფინანსების“ და „საბუღალტრო და საგადასახადო საქმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების შეჩერებული სტატუსის მქონე ბსუ-ს სტუდენტების უფლებებისა და ინტერესების გათვალისწინებით, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 21 თებერვლის N06-01/20 დადგენილებით მიზანშეწონილად ჩაითვალა 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის გამოცხადდეს დამატებითი, რიგგარეშე შიდა მობილობა, რათა ამ სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა ისარგებლონ 2018 წლის 31 ოქტომბერს აკრედიტირებულ „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-5 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის (შიდა მობილობის) განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე” ბსუ-ს რექტორის 2016 წლის 21 ივლისის N01-08/37 ბრძანების, ,,კრედიტების აღიარებისა და პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ბსუ-ს სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ’ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N55 დადგენილების, ,,ბსუ-ს ზოგიერთი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ვადის გასვლასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 დეკემბერის N132 დადგენილების, ,,ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ,,ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 17 მაისის N01-09/340 ბრძანების, ,,ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ზოგიერთი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 16 ივლისის N01-09/393 ბრძანების, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის ვ. ღლონტის 2019 წლის 11 მარტის MES 9 19 00287535 მოხსენებითი ბარათის და ,,2018 წლის ოქტომბერში აკრედიტირებულ „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო და 2019 წლის 16 იანვარს აკრედიტებული ,,ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 21 თებერვლის N06-01/20 დადგენილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის გამოცხადდეს რიგგარეშე შიდა მობილობა:

ა) ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ეკონომიკის“, „ფინანსების, ფულის მიმოქცევისა და კრედიტის“ და ,,ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების შეჩერებული სტატუსის მქონე ბსუ-ს სტუდენტების 2019 წლის 16 იანვარს აკრედიტირებულ ბსუ-ს „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით;

ბ) ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „მარკეტინგის“, „მენეჯმენტისა“ „ფინანსების“ და „საბუღალტრო და საგადასახადო საქმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების შეჩერებული სტატუსის მქონე ბსუ-ს სტუდენტების 2018 წლის 31 ოქტომბერს აკრედიტებულ ბსუ-ს „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით.

2. წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული **შიდა მობილობის** ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) დოკუმენტაციის მიღება - 2019 წლის 20 და 21 მარტი (განცხადება წარმოდგენილი უნდა იქნეს თანდართული ფორმით - **დანართი 1** (,,ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამაზე - დანართი 1(1); ,,ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე - დანართი 1(2);

ბ) კრედიტების აღიარება - 2019 წლის 22, 25 მარტი;

გ) კრედიტების აღიარების დასკვნაზე სტუდენტთა თანხმობის განცხადებების მიღება - 2019 წლის 25 მარტი (განცხადებები წარმოდგენილი უნდა იქნეს თანდართული ფორმით- **დანართი 2**);

დ) შიდა მობილობით სტუდენტთა ჩარიცხვის ბრძანების მომზადება - 2019 წლის 26 მარტი;

ე) ჩარიცხვის ბრძანების სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გაგზავნა - 2019 წლის 27 მარტი;

3. წინამდებარე ბრძანება გავრცელდეს ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „მარკეტინგის“, „მენეჯმენტისა“ „ფინანსების“ და „საბუღალტრო და საგადასახადო საქმის“ საბაკალავრო და „ეკონომიკის“, „ფინანსების, ფულის მიმოქცევისა და კრედიტის“ ,,ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების იმ სტუდენტებზე, რომელთათვის სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან არ გასულა 5 წელი.

4. წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებულ შიდა მობილობაში მონაწილე სტუდენტებს, რომლებსაც ერიცხებათ ფინანსური დავალიანება, მიეცეთ შესაძლებლობა ფინანსური დავალიანება დაფარონ 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში, მიმდინარე სემესტრის სწავლის საფასურთან ერთად.

5. დაევალოს ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს მობილობის პროცესის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით წარმართვა და კოორდინირება.

6. წინამდებარე ბრძანება აისახოს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში და წარდგენილი იქნეს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

7. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს კანცელარიასთან და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საინფორმაციო დაფებზე, დაეგზავნოს შესაბამის

სტუდენტებს სტუდენტური პორტალის მეშვეობით, განთავსდეს მათ პირად საქმეებში და გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

8. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს, სტუდენტთა კარიერული განვითარებისა, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

9. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილემ, პროფესორმა თამარ სირაძემ.

10. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

01-02/38

ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 18 მარტის N-------- ბრძანების

დანართი 1 (1)

ბსუ-ს რექტორს, ბატონ მერაბ ხალვაშს

ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის

---------- ----------

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის

შეჩერებული სტატუსის მქონე

ბსუ-ს სტუდენტ ----------

(სახელი და გვარი)

ტელეფონი _____

მცხოვრები _____

(მიუთითეთ ზუსტი მისამართი და ტელეფონის ნომერი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სურვილი მაქვს მონაწილეობა მივიღო ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 18 მარტის ბრძანებით გამოცხადებულ შიდა მობილობაში, ჩავირიცხო და სწავლა გავაგრძელო უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილებით აკრედიტირებულ **ბსუ-ს ,,ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე.**

ვადასტურებ, რომ გავეცანი ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის (შიდა მობილობის) განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს რექტორის 2016 წლის 21 ივლისის N01-08/37 ბრძანებას და ,,2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის 2019 წლის იანვარში აკრედიტირებულ ბსუ-ს „ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე და 2018 წლის ოქტომბერს აკრედიტირებულ ,,ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა ჩარიცხვისათვის რიგგარეშე შიდა მობილობის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 18 მარტის ბრძანებას.

„ .....“ „ .....“ 2019 წ. ხელმოწერა .....

დანართი 1 (2)

ბსუ-ს რექტორს, ბატონ მერაბ ხალვაშს

ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის

---------- ----------

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის

შეჩერებული სტატუსის მქონე

ბსუ-ს სტუდენტ ----------

(სახელი და გვარი)

ტელეფონი _____

მცხოვრები _____

(მიუთითეთ ზუსტი მისამართი და ტელეფონის ნომერი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სურვილი მაქვს მონაწილეობა მივიღო ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 18 მარტის ბრძანებით გამოცხადებულ რიგგარე შიდა მობილობაში, ჩავირიცხო და სწავლა გავაგრძელო უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 31 ოქტომბრის გადაწვეტილებით აკრედიტირებულ ბსუ-ს ,,ბიზნესის **ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამაზე.**

ვადასტურებ, რომ გავეცანი ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის (შიდა მობილობის) განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე” ბსუ-ს რექტორის 2016 წლის 21 ივლისის N01-08/37 ბრძანებას და ,,2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის 2019 წლის იანვარში აკრედიტირებულ ბსუ-ს „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე და 2018 წლის ოქტომბერს აკრედიტირებულ ,,ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა ჩარიცხვისათვის რიგგარეშე შიდა მობილობის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 18 მარტის ბრძანებას.

„ .....“ „ .....“ 2019 წ. ხელმოწერა .....

ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 18 მარტის N01-02/38-------- ბრძანების

დანართი 2 (1)

ბსუ-ს რექტორს, ბატონ მერაბ ხალვაშს

ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის

---------- ----------

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის

შეჩერებული სტატუსის მქონე

ბსუ-ს სტუდენტ ----------

(სახელი და გვარი)

ტელეფონი _____

მცხოვრები _____

(მიუთითეთ ზუსტი მისამართი და ტელეფონის ნომერი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

(შიდა მობილობის შედეგად კრედიტების აღიარების დასკვნაზე სტუდენტის თანხმობის თაობაზე)

მონაწილეობა მივიღე ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 18 მარტის ბრძანებით გამოცხადებულ შიდა მობილობაში, გავეცანი ჩემ მიერ გავლილი კრედიტების ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის **,,ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო პროგრამასთან თავსებადობის დასკვნას** და თანახმა ვარ _____ კრედიტის აღიარებით სწავლა გავაგრძელო ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების _____ სემესტრიდან.

ხელმოწერა: _____

თარიღი: ----------

დანართი 2 (2)

ბსუ-ს რექტორს, ბატონ მერაბ ხალვაშს

ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის

---------- ----------

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის

შეჩერებული სტატუსის მქონე

ბსუ-ს სტუდენტ ----------

(სახელი და გვარი)

ტელეფონი _____

მცხოვრები _____

(მიუთითეთ ზუსტი მისამართი და ტელეფონის ნომერი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

(შიდა მობილობის შედეგად კრედიტების აღიარების დასკვნაზე სტუდენტის თანხმობის თაობაზე)

მონაწილეობა მივიღე ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 18 მარტის ბრძანებით გამოცხადებულ შიდა მობილობაში, გავეცანი ჩემ მიერ გავლილი კრედიტების ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის **,,ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამასთან თავსებადობის დასკვნას** და თანახმა ვარ _____ კრედიტის აღიარებით სწავლა გავაგრძელო ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების _____ სემესტრიდან.

ხელმოწერა: _____

თარიღი: ----------